



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030498434764118

№ 04-602/ო

04 / ოქტომბერი / 2018 წ.

ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის სატრენინგო მომსახურების განვების მიზნით “საქართველოს მიმღებ მშობელთა ორგანიზაცია“- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან უსასყიდლო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის 2018 წლის 05 ივნისის N01/32728 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N01-75/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ადმინისტრირების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული “საქართველოს მიმღებ მშობელთა ორგანიზაცია“ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ს/ნ 404890132) 2018 წლის 25 სექტემბრის N96898 წერილობითი მომართვა.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ იურიდიულ პირთან, მის მიერ ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის სატრენინგო მომსახურების განვების მიზნით (ძირითადი და დამატებითი კურსი), გაფორმდეს ხელშეკრულება (თანდართული ნიმუშის მიხედვით) მომსახურების უსასყიდლოდ განვების შესახებ.
3. ეთხოვოს “საქართველოს მიმღებ მშობელთა ორგანიზაცია“ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სისტემატურად მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N01-75/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ადმინისტრირების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის/პირების შესახებ.
4. მიენიჭოს უფლებამოსილება მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსს, ხოლო არყოფნის შემთხვევაში - მისი მოვალეობის შემსრულებელს, სააგენტოს სახელით, ხელი მოაწეროს წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას და მასში შესატან ცვლილებებს/დამატებებს.
5. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განვების უფლებამოსილება განისაზღვროს შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში:

- ა) ქობულეთის, ბათუმის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები;
- ბ) ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები;
- გ) გორის მუნიციპალიტეტი;
- დ) ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები;
- ე) მესტაფონისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები;
- ვ) თბილისის მუნიციპალიტეტი;

6. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის.

7. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების პროაქტიულად გამოქვეყნება, დადგენილი წესით და პირობებით.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



გიორგი წონკოლაური

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

___/___/___წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი _____ სახით და მეორე მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი _____ წარმოდგენილი (ს/კ _____), _____ სახით, (შემდგომში - შემსრულებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N01-75/5 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ადმინისტრირების წესის“ (შემდგომში - ადმინისტრირების წესი) მე-4 მუხლის ფარგლებში, სააგენტოს ორგანიზებით, მომსახურების სახით, ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირებისათვის ტრენინგების/სწავლების კურსის (ძირითადი კურსის) ჩატარებას უსასყიდლოდ.

2. მომსახურების მიღების წესი და ვადა

2.1 ჩასატარებელი ტრენინგის/სწავლების განრიგი განისაზღვრება, ხოლო ამგვარი მომსახურება ხორციელდება პერიოდულად, ადმინისტრირების წესითა და სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2.2 მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, მოსამზადებელი კურსის გავლის მსურველი პირებით დაკომპლექტებული თითოეული ჯგუფის ტრენინგის/სწავლების დასრულების შემდგომ, რაც დასტურდება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით დოკუმენტაციის სააგენტოსთვის წარდგენით.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 სააგენტო არ აუნაზღაურებს შემსრულებელს გაწეულ მომსახურების საფასურს - თითოეული ჯგუფის ძირითადი კურსის ტრენინგის/სწავლების ჩატარებისთვის.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს.

4.2 ხელშეკრულების ვადის ამოწურვა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსრულებელი ვალდებულია:

5.1.1 მომსახურების გაწევამდე სააგენტოს მიაწოდოს ადმინისტრირების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის მონაცემები.

5.1.2 ამ მუხლის 5.1.1 პუნქტით გათვალისწინებული პირების მეშვეობით გასწიოს მომსახურება სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ადმინისტრირების წესის, სააგენტოს შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა და ამ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად.

5.1.3 უზრუნველყოს ტრენინგის/სწავლების მონაწილეთათვის ადმინისტრირების წესის მე-4 მუხლით მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოსამზადებელი კურსის მოდულში წარმოდგენილი თემებზე კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება და პასუხი გასცეს დამსწრეთაგან დასმულ შეკითხვებს.

5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.2.1 მოითხოვოს ტრენინგისათვის/სასწავლო პროცესისთვის საჭირო გარემო პირობების უზრუნველყოფა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა.

5.3 სააგენტო ვალდებულია:

5.3.1 ორგანიზება გაუწიოს ტრენინგის ჩატარებას, მათ შორის მიაწოდოს შემსრულებელს ბავშვის მინდობით აღზრდის სავალდებულო კურსის გავლის მსურველი პირების მონაცემები, წარდგენილი განცხადებების შესაბამისად.

5.4 სააგენტო უფლებამოსილია:

5.4.1. ნებისმიერ დროს უფლებამოსილი პირის მეშვეობით შეამოწმოს შემსრულებლის მიერ შესასრულებელი მომსახურების მსვლელობა და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა, ხოლო გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ აცნობოს შემსრულებელს.

5.4.2. ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

6.2 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

6.3 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები თუ ობიექტური გარემოებები (დაუძლეველი ძალა), აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით გააგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოანახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან ან ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ვადამდე მოშლა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა ხდება ცალმხრივად სააგენტოს მიერ, რაზედაც უნდა ეცნობოს შემსრულებელს.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

8.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

8.2.2. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობისას.

8.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

9.4. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

9.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სააგენტო

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

ხელმოწერა:

შემსრულებელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -

ხელმოწერა: